

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ქონქრით სოლუშენი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ქონქრით სოლუმენი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5-6

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ქონქრით სოლუშენი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	181,716	259,595	288,439
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,330,233	6,941,861	5,784,884
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	335,182	478,832	532,035
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	-	-	-
წინასწარ გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	1,293,894	870,586	74,186
მთლიანი მიმდინარე აქტივები	10,141,025	8,550,874	6,679,544
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	973,387	1,622,311	2,027,889
გაცემული სესხები	1,840,000	1,840,000	1,350,000
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	2,813,387	3,462,311	3,867,889
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	465,062	930,123	1,162,654
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1,739,931	2,174,913	3,107,019
საბიუჯეტო ვალდებულებები	-	-	-
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები	2,204,992	3,105,036	4,269,673
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10,749,420	8,908,149	6,277,761
მთლიანი კაპიტალი	10,749,420	8,908,149	6,277,761

ხელმძღვანელობის სახელით:

გაგა ჩაფიძე
 დირექტორი
 2025 წლის 30 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო



მარიკა ხარაბაძე
 მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „კონკრეტ სოლუშენი“
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნეტო ამონაგები	11,028,295	15,754,707	17,505,299
საქონლის გაყიდვიდან	11,028,295	15,754,707	17,505,299
სხვა	-	69	235
განსაკუთრებული შემოსავლები	-	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-4,354,031	-6,220,044	-6,911,160
საწყისი მარაგები		1,738,555	1,931,727
მარაგების შესყიდვა		9,732,696	10,814,107
გადამუშავების დანახარჯები		10,224,204	11,360,226
საბოლოო მარაგები		1,247,047	1,385,608
საერთო მოგება	6,674,264	9,534,663	10,594,139
დასაქმებულთა ანაზღაურება	807,150	1,153,071	1,281,190
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	259,142	370,203	411,336
იჯარის ხარჯი	-	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3,766,701	5,381,002	5,978,891
სულ საოპერაციო ხარჯები	4,832,993	6,904,275	7,671,417
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8,908,149	6,277,761	3,628,333
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	10,749,420	2,630,388	2,649,427
გაერთიანებული მოგება (ზარალი) საანგარიშო წლისათვის	10,749,420	8,908,151	6,277,761
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	335,182	478,832	532,035
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			

ხელმძღვანელობის სახელით:

გაგა ჩაფიძე
დირექტორი
2025 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



მარიკა ხარაბაძე
მთ. ბუღალტერი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქონქრით სოლუშენი რეგისტრირებულია 2020 წლის 13 აგვისტოს იურიდიული მისამართით საქართველო, ქალაქი ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქუჩა, N 98, სართული 22, ბინა 667.

საწარმოს 30 % წილის მფლობელია გაგა ჩაფიძე; 70 % წილის მფლობელია ნოდარ ქათამაძე.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის 1 იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივების თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელმძღვანელობის სახელით:

გაგა ჩაფიძე
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი



მარიკა ხარაბაძე
მთ. ბუღალტერი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტით. საწარმო დაფუძნებულია 2020 წელს და შესაბამისად აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

შენიშვნა 5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გაგა ჩაფიძე
დირექტორი

2025 წლის 19 თებერვალი
ბათუმი, საქართველო



მარიკა ხარაბაძე
მთ. ბუღალტერი

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized, overlapping loops and strokes.